დრაკონის ღიმილი

ჩინეთის რბილი ძალა საქართველოში

2025

სამოქალაქო იდეა

ავტორი:
აქსანა ახმედოვა

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები არ ასახავს სამოქალაქო იდეას საქმიანობის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ფონდების პოზიციას. შესაბამისად, სამოქალაქო იდეა არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 2

სინო-ქართული კულტურული ურთიერთობების ქრონოლოგია 3

რბილი ძალა ჩინეთის პერსპექტივიდან 4

სინო-ქართული თანამშრომლობა კულტურის სფეროში 5

„საუკუნის მესამედი - საქართველო-ჩინეთი“ 6

ჩინეთის პოპულარიზაცია მედიასივრცეში 7

ჩაქვის მუზეუმი 8

თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში 9

ჩინეთთან დაძმობილებული ქალაქები/რეგიონები 10

საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაცია 11

დასკვნა 14

ბიბლიოგრაფია 15

შესავალი

“ მეგობრული ურთიერთობებისა და ხალხთა შორის და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობის დიდი პოტენციალის გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ კულტურული თანამშრომლობის გაძლიერებაზე. ისინი მოქალაქეებს წაახალისებენ, მოინახულონ ერთმანეთის ქვეყნები და გააძლიერონ თანამშრომლობა **ტურიზმის, ჯანდაცვის, ახალგაზრდობისა და სპორტის** სფეროებში. გარდა ამისა, ისინი გააძლიერებენ კავშირებს კინოს, მედიისა და სახალხო დიპლომატიის სფეროებში

ჩინეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ დოკუმენტის, 3.2 ქვეპუნქტი. ”

2023 წლის 31 ივლისს ხელმოწერილი სინო-ქართული სტრატეგიული პარტნიორობის ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი კულტურის სფეროს შეეხება. ამ, ერთი შეხედვით, უწყინარი საკითხის უკან პეკინის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გათვლები დგას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის პარტნიორ ქვეყანასთან კულტურული ურთიერთობების განვითარება „რბილი ძალის“ გაძლიერებისა და ჩინეთის გავლენის გავრცელების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. კერძოდ, ჩინეთის კულტურის შესახებ ცნობადობის გაზრდის მცდელობების მიღმა პეკინის სტრატეგიული მიზნები იმალება:

- სამიზნე ქვეყნის მოსახლეობაში ჩინეთის შესახებ დადებითი შეხედულების ჩამოყალიბება;
- საერთაშორისო ურთიერთობებსა და სახელმწიფო მმართველობაზე ჩინეთის ხედვების პოპულარიზაცია;
- დასავლური გავლენების შემცირება და დაბალანსება, განსაკუთრებით დასავლური კულტურული მემკვიდრეობის დომინაციის პირობებში;
- გლობალურად ჩინური დიასპორის ჩართულობისა და აქტიურობის უზრუნველყოფა კულტურულ ღონისძიებებში მათი მონაწილეობით, რაც საკუთარ ქვეყანასთან კავშირების შენარჩუნებას უწყობს ხელს;
- არანაკლებ მნიშვნელოვანია კულტურის როლი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოებისა და „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკის განმტკიცებისთვის. მაგალითად, სწორედ კულტურის ღონისძიებებისა და პროგრამების გამოყენებით ხორციელდება სხვადასხვა ჩინური ნარატივისა და კულტურული კლიშეების გავრცელება ტაივანზე, ტიბეტზე და ჩინეთის ზღვის სხვადასხვა ტერიტორიაზე.

აღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებს კარგად აქვთ გააზრებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „თამაშის წესები“ საგარეო პოლიტიკურ არენაზე, რაც მათ ურთიერთობების ყველა მიმართულებით, მათ შორის კულტურული თანამშრომლობის კუთხით, უფრო მეტ სიფრთხილეს აიძულებს. არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ „ქართული ოცნება“ ჩინეთთან დაახლოების პროცესში უგულებელყოფს საერთაშორისო გამოცდილებას, ხოლო ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიულ ინტერესებს არ შეესაბამება.

„სამოქალაქო იდეა“ 8 წლის განმავლობაში იკვლევს საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გავლენებს როგორც ეკონომიკურ და პოლიტიკურ, ისე საგანმანათლებლო, მედიისა და სამოქალაქო სექტორებში. ამჯერად, წარმოგიდგენთ ანგარიშს, რომელიც ეხება სინო-ქართული თანამშრომლობის იმ ასპექტს, რომელიც აქამდე უყურადღებოდ იყო დატოვებული - საქართველოში ჩინეთის კულტურის რბილი ძალის გავლენას.

სინო-ქართული კულტურული ურთიერთობების ქრონოლოგია (2020-2024 წწ)

2020 / 18 დეკ. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, არჩილ კალანდია შეხვდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს, საერთაშორისო გაცვლებისა და თანამშრომლობის დეპარტამენტის გენერალურ დირექტორს, სიე ძინინს. მხარეები შეთანხმდნენ კულტურისა და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

2021 საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს შორის ხელი მოეწერა ოქმს 2021-2025 წლებში თანამშრომლობის შესახებ.

2022 / სექ. პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ჭოუ ციენს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს კულტურული დიპლომატიის მნიშვნელობაზე და შეთანხმდნენ ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებაზე.

2023 / 17 სექ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, ჩინეთის კინოს ადმინისტრაციისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით ეროვნული არქივის კინოთეატრში „ჩინური კინოს ფესტივალის“ გახსნითი ცერემონია გაიმართა.

2023 საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, ჩინეთის კინოადმინისტრაციის დელეგაცია შეხვდა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს.

2023 / 25 სექ. ჩინეთის კინოადმინისტრაციის დელეგაცია სამუშაო ვიზიტით საქართველოს კულტურის სამინისტროს ეწვია.

2024 / 14 ივნ. პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე ჩინეთის პროვინციის, შადონგის საგარეო საქმეთა ოფისის გენერალურ დირექტორს, ცაი ქსიანჯინს შეხვდა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ კულტურულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხთა შორის დაახლოებას.

2024 / 28 ივნ. პარლამენტის კულტურის კომიტეტის წარმომადგენლები შეხვდნენ

2020 / 28 ივნ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროვინციის, ძიანსუს სამთავრობო დელეგაციას. შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების გაძლიერებისა და გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

2024 / 13 აგვ. პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი მეძმარიაშვილი შეხვდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს, სიუ ხაიჭენგს. მხარეები სპორტის სხვადასხვა სახეობაში ერთობლივი წვრთნების ჩატარებაზე შეთანხმდნენ.

2025 / 15-17 ნოე. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე, თამარ მახარაშვილი ქ. პეკინში გამართულ „ჩინური ენის მსოფლიო კონფერენციას“ დაესწრო.

რბილი ძალა ჩინეთის პერსპექტივიდან

„რბილი ძალა“,[1] რომელიც დასავლური აკადემიის წიაღში წარმოიშვა, სახალხო რესპუბლიკის მიერ პირველად 2007 წელს დასახელდა, როგორც ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი. კერძოდ, 2007 წლის 15 ოქტომბერს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჰუ ძინტაომ მე-17 ეროვნულ კონგრესზე, ჩინეთის სოციალისტური კულტურის გაძლიერება ქვეყნის „რბილი ძალის“ კომპონენტად დაასახელა. ამავე მიმართვაში მან აღნიშნა:

> **ჩვენ უნდა განვავითაროთ კულტურის ინდუსტრია... შევქმნათ წარმატებული კულტურის ბაზარი და გავაძლიეროთ ინდუსტრიის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა.**

„რბილი ძალის“ გაძლიერება რჩება ჩინეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად სი ძინპინის პრეზიდენტობის პირობებშიც. კერძოდ, სი ძინპინი 2013 წლიდან მუდმივად ხაზს უსვამს საერთაშორისო დონეზე ჩინეთის კულტურული გავლენის გაძლიერების საჭიროებას. 2014 წელს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხზე გამართულ კონფერენციაზე, პრეზიდენტმა სიმ აღნიშნა:

> **ჩვენ უნდა გავზარდოთ ჩინეთის „რბილი ძალა“, შევქმნათ კარგი ჩინური ნარატივი და მსოფლიოს უკეთ შევატყობინოთ ჩინეთის გზავნილების შესახებ.**

საყურადღებოა, რომ სახალხო რეპუბლიკის 2035 წლამდე მისაღწევ გრძელვადიან მიზნებს შორის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ, ჩინეთის „რბილი ძალისა“ და კულტუ

1. რბილ ძალას ამერიკელი პოლიტიკის მეცნიერი, ჯოზეფ ნაი, განმარტავს, როგორც „ქვეყნის უნარი, საერთაშორისო არენაზე გავლენა მოახდინოს სხვადასხვა აქტორის პრეფერენციებსა და ქცევებზე, მოზიდვის ან დარწმუნების გზით, და არა იძულებით“.

რის გავლენის გაძლიერებაა. თუ გადავხედავთ კომუნისტური პარტიის გრძელვადიანი მიზნების სახელმძღვანელოს, აშკარად ვნახავთ, რომ კომპარტიის იმპერატივია:

> **გაძლიერდეს ჩინეთის საერთაშორისო გავლენა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: მედია, მეცნიერება, კინოინდუსტრია, ლიტერატურა და ხელოვნება.**

საერთაშორისო კომპანია Brand Finance-ის მიერ შექმნილი „გლობალური რბილი ძალის ინდექსის“ მიხედვით, 2024 წელს ჩინეთმა „რბილი ძალის“ კუთხით მე-3 ადგილზე მყოფი გერმანია ჩაანაცვლა და მთლიანობაში, წინა წლებთან შედარებით, სახალხო რესპუბლიკის ინდექსი 6,2 ქულით გაიზარდა. ამ თვალსაზრისით, კომპანიის შეფასებით, ჩინეთი არის მსოფლიოში ყველაზე მზარდი „რბილი ძალის“ მქონე სახელმწიფო.

სინო-ქართული თანამშრომლობა კულტურის სფეროში

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ გაძლიერებულ პრო-ჩინურ რიტორიკასთან ერთად, შეიმჩნევა სინო-ქართული თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია კულტურის ცალკეულ სფეროებში. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, რომ სინო-ქართული კულტურული თანამშრომლობის გაღრმავების მცდელობები ჩინეთის გავლენის გაძლიერების ერთგვარ ოპერაციად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის საბოლოო მიზანი საქართველოს მოქალაქეებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ დადებითი წარმოდგენებისა და მოლოდინების ჩამოყალიბებაა.

2023 წლის 17 სექტემბერს გაიმართა „ჩინური კინოს ფესტივალი“. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო, ჩინეთის კინოს ადმინისტრაცია და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. ღონისძიებას ესწრებოდნენ ჩინეთის ელჩი, ჭოუ ციენი, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ირაკლი გივიაშვილი და ჩინეთის კომპანიების წარმომადგენლები.

საყურადღებოა, რომ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, ოფიციალურმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს კულტურის სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე. მათ შორის, მინისტრის მოადგილე ირაკლი გივიაშვილმა, თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა კულტურის სამინისტროს სურვილს, ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის კულტურული კავშირების გაღრმავებას.

2023 წლიდან სინო-ქართული თანამშრომლობა გაძლიერდა თეატრის მიმართულებითაც. 2024 წლის 31 აგვისტოს, პირველი ქართულ-ჩინეთი თეატრალური თანამშრომლობის ფარგლებში, ქ. შანხაიში გაიმართა „ჰამლეტის“ ინტერპრეტაციის პრემიერა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე ჩინელი მსახიობები.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 24 აგვისტოს, ასევე, გაიმართა ქართულ-ჩინური ხალხური სიმღერების ერთობლივი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული ანსამბლის, „გეო ფოლკ ტურისა“ და ჩინური ანსამბლის „გლინტვეინის“ მუსიკოსები. ჩინეთში საქართველოს საელჩოს ინფორმაციით, „გეო ფოლკ ტური“ აქტიურად თანამშრომლობს ჩინელ მუსიკოსებთან.

„საუკუნის მესამედი - საქართველო-ჩინეთი“

საქართველოში ჩინეთის „რბილი ძალის“ გაძლიერების „მისიას“ არა მარტო ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან დაკავშირებული პირები, არამედ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიც ემსახურებიან. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ფონზე, 2024 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა „ქართული ოცნების“ არალეგიტიმური პარლამენტის დეპუტატის, ირაკლი მეზურნიშვილის მიერ გადაღებული „დოკუმენტური“ ფილმი, „მესამედი საუკუნე - საქართველო-ჩინეთი“, რომელიც მიმოიხილავს ქართულ-ჩინური ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის, პოლიტიკურ/დიპლომატიურ კავშირებს, ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას. ფილმის ნარატივი მიანიშნებს, რომ მისი შექმნის მთავარი მიზანი ჩინეთის „საიმედო პარტნიორის“ როლში წარმოჩენა და ქართულ აუდიტორიაში პრო-ჩინური სენტიმენტების გაძლიერება იყო.

ფილმში ფიგურირებენ საქართველოში ჩინეთის ელჩი ჭოუ ციენი, „ქართული ოცნების“ პრემიერი ირაკლი კობახიძე, ჩინეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი პაატა კალანდაძე და არალეგიტიმური პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი. ხსენებული პირები, ჩინეთში გადაღებული კადრების ფონზე, პეკინთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, ტურიზმის, ვაჭრობის და საქართველოში ჩინეთის ინვესტიციების მაჩვენებლებზე საუბრობენ.

საინტერესოა, რომ ფილმის მნიშვნელოვანი ნაწილი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტს ეთმობა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ინფორმაციით, პორტით დაინტერესებულ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კომპანიასთან მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა, ფილმი ანაკლიის პორტს ქართულ-ჩინური თანამშრომლობის მნიშვნელოვან მაგალითად და ანაკლიის მკვიდრი მოსახლეობის ოცნების ახდენის შესაძლებლობად წარმოაჩენს. მაგალითად, ფილმის ერთ-ერთ მონაკვეთში, ირაკლი კობახიძე აცხადებს:

> **ჩვენ ჩინეთთან გვაკავშირებს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, თუმცა, ერთს გამოვყოფდი. ეს არის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი, რომელიც განხორციელდება ჩინელ პარტნიორებთან ერთად.**

ჩინეთის პოპულარიზაცია მედიასივრცეში

სინო-ქართული სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბების შემდეგ, ჩინური კულტურის პოპულარიზაციის მიმართულებით, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა მედია-ორგანიზაცია „მედიაცენტრი მთავარი“.

კერძოდ, 2023 წლიდან 2025 წლამდე, „მედიაცენტრ მთავარის“ ჟურნალისტმა და ამჟამად, 100%-იანი წილის მფლობელმა, ეკატერინე გულუამ, ჩინეთთან დაკავშირებული 600-ზე მეტი რეპორტაჟი მოამზადა. სწორედ სინო-ქართული სტრატეგიული პარტნიორობის გამოცხადების დღეს, გულუამ, პირად სოციალურ ქსელებში გაავრცელა ინფორმაცია, რომ ერთი წლით ჩინეთში მიემგზავრებოდა, რადგან იქ განვითარებული მოვლენების ფონზე, საქართველოსთვის „ახალი მიმართულებები/ შესაძლებლობები“ იხსნებოდა.



ჩინეთის შესახებ აღნიშნული რუბრიკის მომზადების პროცესში, ეკატერინე გულუა, გარდა იმისა, რომ ჩინეთის სხვადასხვა რეგიონსა და ქალაქს სტუმრობდა, ასევე, შეხვედრებს მართავდა ოფიციალურ პირებთან - ქალაქების გუბერნატორებთან, მერებთან და სხვა პირებთან. საინტერესოა, რომ გულუას მიერ მომზადებული სიუჟეტების შინაარსი არ შემოიფარგლება მხოლოდ კულტურის სფეროთი და მოიცავს ინფორმაციას ჩინეთის პარლამენტის, სარტყლისა და გზის ინიციატივის ფარგლებში ორგანიზებულ ფორუმებსა თუ კონფერენციებს. 2024 წლის მარტში, ჩინეთის ეროვნული სახალხო კონგრესის სესიას ესწრებოდა ეკატერინე გულუაც, რომელმაც

ჩინელ ჟურნალისტთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ „სარტყელი და გზა ჩვენი მომავალია“. ჟურნალისტის ჩართულობამ მიიპყრო ჩინეთის სხვადასხვა მედიასაშუალების, მათ შორის, ცნობილი People's Daily-ის ყურადღება.

2025 წლის იანვრის დასაწყისში „მედიაცენტრ მთავარის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სიახლეში, გულუა დეტალურად აღწერს ჩინეთში მოგზაურობის შესახებ შთაბეჭდილებებს. აქვე, ის ხაზს უსვამს ჩინეთსა და საქართველოს შორის არსებული კულტურული „მსგავსებების“ მნიშვნელობას. გარდა ამისა, ჟურნალისტი წერს, რომ ჩინეთში მოგზაურობამ მისი წარმოდგენა რადიკალურად შეცვალა და ჩინეთის სახით აღმოაჩინა ახალი „სამოთხე“. გულუა ასევე, აღნიშნავს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ განხორციელებული „ყველა მსგავსი პროგრამა“ სარგებლის მომტანია. ვინ დააფინანსა ჩინეთში გულუას მოგზაურობა ან იყო თუ არა ეს გარეშე პირების დაკვეთით შესრულებული ინიციატივა, ამის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებში ინფორმაცია არ იძებნება. თუმცა, ჟურნალისტის განცხადებიდან ჩანს, რომ ის კვლავ გეგმავს ჩინეთში მოგზაურობის შესახებ ახალი დღიურების შექმნას და საბოლოოდ, ამ ყველაფრის წიგნად გამოქვეყნებას, სახელწოდებით - „თანამედროვე ჩინეთი“.

ჩაქვის მუზეუმი

ჩინეთის შესახებ გადაღებულ ზემოთ აღწერილ დოკუმენტურ ფილმში „მესამედი საუკუნე“ ქართულ-ჩინური ურთიერთობების, ისტორიულ საფუძვლებზე საუბრისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩინელ პიროვნებას - ლაო ჯინ ჯაოს. ფილმის მიხედვით, ლაო ჯინ ჯაო იყო პირველი ადამიანი, რომელმაც საქართველოში ჩაის კულტურა შემოიტანა და 1920-იან წლებამდე საქართველოში, ბათუმის მახლობლად ცხოვრობდა. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 2018 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლაო ჯინ ჯაოს შესახებ ფილმის გადაღებას გეგმავდნენ. თუმცა, მას შემდეგ, ამ თემასთან დაკავშირებით სხვა სიახლეები არ გავრცელებულა.

2024 წელს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ხელმძღვანელმა, ზაურ ახვლედიანმა განაცხადა, რომ 2025 წელს ჩაქვში გაიხსნებოდა ლაო ჯინ ჯაოს სახელობის ქართული სახლ-მუზეუმი. განცხადების თანახმად, 2024 წლის აპრილში, სააგენტოს წარმომადგენლები პეკინში ჩინელ პარტნიორებს შეხვდნენ, ხოლო მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მუზეუმს უახლესი ციფრული ტექნოლოგიებითა და ლედ-ტექნიკით აღჭურავს, ხოლო მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 910 000 ლარია განსაზღვრული.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 15 მარტს, ჩინეთში საქართველოს ელჩი, პაატა კალანდაძე პეკინის უნივერსიტეტის პროფესორ დევიდ ლიუ ხაოსს, ლაო ჯინ ჯაოს შთამომავალს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ჩაქვში მუზეუმის გახსნის საკითხი და საქართველო-ჩინეთს შორის კულტურის მიმართულებით თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები განიხილეს.

თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში

საქართველოში ჩინეთის გავლენის გაფართოების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი ხალხთაშორისი კავშირების გაძლიერებაა. პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების პარალელურად, სახელმწიფო დონეზე მიღწეული შეთანხმებები ხელს უწყობს ჩინეთსა და საქართველოს შორის ტურისტული მიმოცვლის გააქტიურებას.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა 2023 წლის 11 სექტემბრიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედება. რამდენიმე თვის შემდეგ კი, 2024 წლის 28 მაისს, ჩინეთმა უვიზო რეჟიმი აამოქმედა საქართველოს მოქალაქეებისთვისაც.



აღნიშნულმა მოვლენამ საქართველოს ტურიზმის სექტორში გააჩინა მოლოდინი, რომ ქვეყანაში ჩინელი ტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, რაც, თავის მხრივ, ტურიზმის სფეროს განვითარებას შეუწყობდა ხელს. სწორედ ამიტომ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩინელებისთვის უვიზო მიმოსვლის შემოღების ფაქტს დადებითად შეხვდა.

უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ, საქართველოში ჩინელი ტურისტების რაოდენობა 83,4 %-ით გაიზარდა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2023 წელს ჩინეთიდან საქართველოში 48 304 ტურისტი შემოვიდა, ხოლო 2024 წელს ჩინელი ტურისტების რაოდენობამ 88 583-ს მიაღწია. თუმცა, ჩინელი ტურისტების რაოდენობის ზრდის მიუხედავად, ადგილობრივი კომპანიების წარმომადგენლების განცხადებით, მათი მოლოდინები არ გამართლდა. კერძოდ, უვიზო მიმოსვლის შემოღების შემდეგ, საქართველოში ტურისტული საქმიანობა დაიწყეს ჩინეთის კომპანიებმა, რომლებიც ჩინელი ტურისტებისთვის თავად გეგმავენ ტურს და ჩამოჰყავთ ჩინელი გიდები. მხოლოდ 2024 წელს, საქართველოში 105 ჩინური კომპანია დარეგისტრირდა. შესაბამისად, ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ისინი „თამაშგარეშე“ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ჩინეთში საქართველოს საელჩო ხშირად მართავს შეხვედრებს ადგილობრივი ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან. ამ კუთხით, აღსანიშნავია ელჩის შეხვედრა ჩინეთის სამოგზაურო სერვისების ასოციაციის პრეზიდენტთან, ტურისტულ კომპანია Jilin Tiantian Hua Sheng Air Service Co ltd.-სთან, Beijing Tianchang Business Travel Agency-სთან, China Xinhai International Travel Service Co. Ltd-ის წარმომადგენლებთან, ჩინეთის კომპანია „შაანსის ტურიზმის ჯგუფის“ დირექტორთან და სხვა. საერთო ჯამში, ეს შეხვედრები საქართველოსა და ჩინეთს შორის ტურისტული თანამშრომლობის გაძლიერების მიზანს ემსახურება. თუმცა, როგორც ზემოთ ხსენებული ფაქტი მიუთითებს, ტურიზმის სექტორში მიღწეულმა სინო-ქართულმა შეთანხმებებმა, საბოლოოდ ისევ ჩინეთის კომპანიებს მოუტანა სარგებელი.

ჩინეთთან დაძმობილებული ქალაქები/რეგიონები

ჩინური „რბილი ძალის“ გაძლიერების ერთ-ერთი ინსტრუმენტი ე.წ ქალაქებსა და რეგიონებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

2021 / 25 დეკ. ქ. ბათუმსა და ქ. სანიას შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებდა თანამშრომლობას ტურიზმის, ვაჭრობის, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებში.

2022 / 06 მაი. ქ. ქუთაისის და ქ. სიანის მუნიციპალიტეტებს შორის ხელი მოეწერა დოკუმენტს ვაჭრობის, ტურიზმის, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ.

2022 / 08 მაი. „ქუთაის ქალაქობა 2023“-ის ფარგლებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი შეხვდა ქუთაისის დაძმობილებული ქალაქის, ნანჩანგის დელეგაციას და ასევე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულს, ზვიად შალამბერიძეს.

2023 / 08-11 სექ. იმერეთის რწმუნებულმა და კუიჭოუს პროვინციის გუბერნატორმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლობას ვაჭრობის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, განათლების მიმართულებით.

2024 / 09 სექ. იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა და ჩინეთის კუეიჭოუს პროვინციის ვიცე-გუბერნატორმა ხელი მოაწერეს „შეთანხმებას საქართველოს იმერეთის რეგიონსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კუეიჭოუს პროვინციას შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარების შესახებ“.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტი აქტიურად მართავს შეხვედრებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებთან.

2024 / 14 ივნ. კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე ჩინეთის შადონგის პროვინციის დელეგაციის წევრებს შეხვდა.

2024 / 28 ივნ. 2024 წლის 28 ივნისს, კომიტეტის წევრები შეხვდნენ ძიანსუს სამთავრობო დელეგაციას და ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაცია

ჩინეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების გაღრმავების ერთ-ერთი პირველი ინიციატივა ქართველი ბიზნესმენის, ვანო ჩხარტიშვილის სახელს უკავშირდება. 2016 წელს, ჩხარტიშვილმა დააარსა საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური და კულტურული განვითარების ცენტრი, რომლის ფარგლებში მოგვიანებით შეიქმნა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. ამ ორგანიზაციების ერთობლივი ინიციატივით დაარსდა ჩინეთის მეგობრობის ასოციაციაც. იმავე წელს, ასოციაციის პრეზიდენტი გახდა ჩინეთის მოქალაქე, ცნობილი ბიზნეს-მენეჯერი, ჭანგ ძიანძუნი, რომელიც წარსულში ჩინეთის კომპანია CEFC China Energy Company Ltd[2]- ის აღმასრულებელი დირექტორი იყო, ხოლო ამჟამად კომპანია AnAn International Ltd.[3]-ის აღმასრულებელი დირექტორია.

ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, მისი მიზანია საქართველოსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური, სამეცნიერო, კომერციული, საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება. საყურადღებოა, რომ ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობდა CEFC-სთან, ხოლო მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საქართველოში CEFC-სთვის პერსპექტიული პროექტების ანალიზი, ჩინეთის ბიზნესის წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირების დამყარება და ჩინეთ-საქართველოს ტურისტული ურთიერთობების განვითარება იყო.

ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, მისი გენერალური დირექტორი დავიდ ებრალიძეა, ხოლო პრეზიდენტი ივანე ჩხარტიშვილი. სწორედ ივანე ჩხარტიშვილი ფიგურირებდა ფოთის ინდუსტრიულ ზონასთან დაკავშირებულ სკანდალში.[4]

ასოციაციას მრავალი ოფიციალური კავშირი აქვს ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან აფილირებულ სტრუქტურებსა და წარმომადგენლებთან. 2016 წლის 16 ნოემბერს, ასოციაციის პრეზიდენტმა, ივანე ჩხარტიშვილმა ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს CEFC China Enegry Company Ltd. შეთანხმების თანახმად, მხარეები ხელს შეუწყობდნენ საქართველოში ერთობლივი ჩინეთის პროექტების განხორციელებას. დაარსებიდან თითქმის 1 წლის შემდეგ, 2017 წლის 17 მარტს, ასოციაციასა და ჩინეთის ერთ-ერთ მსხვილ სამთავრობო ორგანიზაცია უცხო ქვეყნებთან ჩინეთის მეგობრობის სახალხო ასოციაციას შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს.

ასოციაციას წარმომადგენლობითი ოფისი ჩინეთშიც აქვს, კერძოდ, ჰუნანის პროვინციაში. 2018 წლის 13-14 ივნისს, სწორედ ამ ოფისის მიწვევით, ჰუნანის პროვინციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, რომეო მიქაუტაძე თანმხლებ დელეგაციასთან ერთად ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაცია დაესწრო „საქართველო-ჰუნანის პროვინციის, ჩინეთის ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარების კონფერენციას“. გარდა ამისა, ქართული

---

2. CEFC China Energy იყო ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ენერგეტიკული კომპანია, რომელიც 2020 წელს შანხაის სასამართლომ გაკოტრებულად გამოაცხადა. მანამდე, 2017 წელს საქართველოს მთავრობამ ფოთის თიზის 75 % კომპანიის ქართულ ფილიალს გადასცა. საინტერესოა, რომ ამავე კომპანიაში მუშაობდა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „სამოქალაქო იდეას“ ანგარიში: „პანდორას ყუთი გაიხსნა: ივანიშვილის კავშირები ჩინეთის კომპანიებთან“.

3. AnAn International Limited არის სინგაპურში დაფუძნებული ენერგეტიკული კომპანია.

4. აღნიშნული საკითხის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ გაეცნოთ სამოქალაქო იდეას ანგარიშს: „ჩინეთის „დახურულ ბიზნეს ჩემპიონატში“ ჩხარტიშვილი ლიდერობს“.

მხარის წარმომადგენლებმა მოინახულეს საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის ჰუნანის ოფისი. შეხვედრისას, ქალაქ ჩანშას მერმა, ჰონგ სიონგმა ასოციაციის ჰუნანის ოფისის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა მისი როლი ჩანშასა და ფოთს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაში. ამასთან, საქართველოში ჩინეთის საელჩომ ასოციაციისადმი მხარდაჭერის გაძლიერების მზადყოფნა გამოხატა.

ამავე პერიოდში, 16-18 ივნისს, თბილისს ეწვია გუანდუნის სახალხო დიპლომატიის ასოციაცია (GPDA). ვიზიტის ფარგლებში, საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციასა და GPDA-ს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და ჩინეთს შორის კულტურული, საგანმანათლებლო და საინვესტიციო თანამშრომლობის გაძლიერებას.

2019 წლის 29 მარტს, ასოციაციის მოწვევით, საქართველოში ჰუნანის პროვინციის ვიცე გუბერნატორი ჩამოვიდა. ვიზიტის ფარგლებში ჩინეთის დელეგაცია შეხვდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა კომპანია Hunan Road & Bridge Construction Group Co. Ltd.-ს გაწეული მხარდაჭერისთვის. გარდა ამისა, ჰუნანის ვიცე-გუბერნატორი ასოციაციის თავმჯდომარეს, ივანე ჩხარტიშვილს შეხვდა, სადაც ხაზგასმით აღნიშნა მისი როლი ჰუნანსა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცებაში.

2019 წლის მაისში, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ვანგ ი იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, ვანგ იმ არაერთი შეხვედრა გამართა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან. ერთ-ერთ შეხვედრაზე კი, ვანგმა მადლობა გადაუხადა საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტს, ივანე ჩხარტიშვილს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.ასოციაცია დღემდე აქტიურად თანამშრომლობს ჩინურ მხარესთან და ასოციაციის პრეზიდენტი ივანე ჩხარტიშვილი რეგულარულად მართავს შეხვედრებს საქართველოში ჩინეთის ელჩთან.



აღსანიშნავია, რომ სწორედ ჩხარტიშვილის მიერაა დაფუძნებული კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა“. ფონდი, დაარსების დღიდან, აქტიურად არის ჩართული ჩინეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობაში. 2017 წელს „ქართული გალობის“, CEFC-ის და ჩინეთ-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის დაფინანსებით, ქ. პეკინში ჩატარდა ჩინეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავის აღმნიშვნელი ღონისძიებები, რომელიც „გრანდიოზული კონცერტით“ დასრულდა. კონცერტში სხვა შემსრულებლებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის, „რუსთავის“ მოცეკვავეთა დასი.

საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის მჭიდრო კავშირები ჩინეთის კომპანიებსა და სახელმწიფო უწყებებთან კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან კულტურული თანამშრომლობა კულტურის სფეროს ფარგლებს სცდება. კულტურული კავშირების გაძლიერების ფონზე იკვეთება როგორც პოლიტიკური, ისე ბიზნეს-ინტერესები და სხვადასხვა ჯგუფებს შორის გაფორმებული შეთანხმებები, გარიგებები. შესაბამისად, ბოლო წლებში ჩინეთთან კულტურული ურთიერთობების ინტენსიფიკაცია პირდაპირ უკავშირდება საქართველოში ინფრასტრუქტურულ და სხვა ტიპის პროექტებში ჩინეთის კომპანიების მზარდ ჩართულობას.

დასკვნა

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სინო-ქართული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის პარალელურად, კულტურული თანამშრომლობაც მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ცხადია, რომ კულტურის, კინო-ინდუსტრიისა და ხელოვნების სფეროებში სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები ბუნებრივი მოვლენაა. თუმცა, ისეთი დიდი სახელმწიფოებისთვის, როგორიც ჩინეთია, კულტურული თანამშრომლობა ხშირად უფრო ფართომასშტაბიან სტრატეგიულ მიზნებს ემსახურება.

საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციასა და ჩინეთის კომპანიებსა თუ სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობა ცხადყოფს, რომ კულტურული ურთიერთობების გაღრმავება მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ბიზნეს-ინტერესებთან. ამ კონტექსტში, კულტურული თანამშრომლობა შესაძლოა გამოყებულ იქნას როგორც ბერკეტი, რომელიც სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს. აღსანიშნავია, რომ საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტი, ივანე ჩხარტიშვილი, აქტიურად იყო ჩართული კომპანია CEFC-ის დამფუძნებელ იუ ჟიანმინგსა და საქართველოს მთავრობას შორის მოლაპარაკებებში. სწორედ ამიტომ სინო-ქართული ურთიერთობების ყოველი ასპექტი და მათ შორის, კულტურული თანამშრომლობაც, საზოგადოების ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება „რბილი ძალის“ და გავლენის ოპერაციების შესახებ ცნობიერების ამაღლების საჭიროება.

ორ ქვეყანას შორის კულტურული თანამშრომლობის განვითარება თავისთავად საფრთხეს არ წარმოადგენს, თუმცა, საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ხშირად იყენებს მსგავს კავშირებს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისთვის. ამიტომ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან კულტურულ კავშირებსა და ინიციატივებში ჩართულ აქტორებს, ასევე, ქვეყანაში ოპერირებად მედია-ორგანიზაციებს აუცილებელია ჰქონდეთ ინფორმაცია ჩინეთის გავლენის ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების შესახებ.

ბიბლიოგრაფია

1. ბალანჩივაძე, აკაკი. „თბილისში ჩინური კინოფესტივალი მიმდინარეობს“. Sinomedia. 17 სექტემბერი, 2023. ბმული
2. ბანკები და ფინანსები. „რამდენი ჩინური კომპანია დარეგისტრირდა საქართველოში 2024 წელს?“. 12 ივნისი, 2024. ბანკები და ფინანსები. ბმული
3. ბიზნეს მედია საქართველო. “საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციამ საპატიო პრეზიდენტი აირჩია”. Business Media. 24 თებერვალი, 2025. ბმული
4. გოგბერაშვილი, ელენე. „თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდით“ - ჩინელებმა საქართველოში ტურისტული ბიზნესი დაიწყეს“. Business Media. 11 ოქტომბერი, 2024. ბმული
5. გულუა, ეკა. „თანამედროვე ჩინეთი“. მედიაცენტრი მთავარი. 3 იანვარი, 2025. ბმული
6. თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი. „GCFA - Georgian-Chinese Friendship Association“. Tbilisi Silk Road Forum. ბმული
7. იმედი. „ელისო ბოლქვაძე ჩინეთის ელჩს, ჭოუ ციენს შეხვდა“. Imedi News. 27 სექტემბერი, 2022. ბმული
8. იმედი. “კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე და კომიტეტის წევრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს შეხვდნენ. Imedi News. 28 ივნისი, 2024. ბმული
9. იმედი. „საქართველოში ქართულ-ჩინურ ფილმს ჩაის კულტურის შემომტანის შესახებ გადაიღებენ”. Imedi News. 23 ოქტომბერი, 2018. ბმული
10. პირველი არხი. „ჩინეთის კინოადმინისტრაციის დელეგაცია კულტურის სამინისტროში“. TV Pirveli. 25 სექტემბერი, 2023. ბმული
11. საქართველოს პარლამენტი. “ირაკლი მეძმარიაშვილი საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს შეხვდა”. საქართველოს პარლამენტი. 13 აგვისტო, 2024. ბმული
12. საქართველოს პარლამენტი. „ელისო ბოლქვაძე ჩინეთის დელეგაციას შეხვდა”. საქართველოს პარლამენტი. 14 ივნისი, 2024. ბმული
13. საქართველოს პარლამენტი. „კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე და კომიტეტის წევრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციის წევრებს შეხვდნენ“. საქართველოს პარლამენტი. 28 ივნისი, 2024. ბმული
14. საქართველოს საელჩო. „ქ. შანხაიში პირველი ქართულ-ჩინური თეატრალური თანამშრომლობის დებიუტი შედგა”. საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 3 სექტემბერი, 2024. ბმული
15. საქართველოს საელჩო. “ვიზიტი „ჩინური ენის მსოფლიო კონფერენციის“ ფარგლებში”. საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 19 ნოემბერი, 2024. ბმული
16. საქართველოს საელჩო. “ქართველი მუსიკოსების წარმატება ქ. პეკინში”.საქა-რთველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 24 აგვისტო, 2024. ბმული
17. საქართველოს საელჩო. “საქართველოს ელჩმა შეხვედრა გამართა პეკინის უნივერსიტეტის პროფესორ დევიდ ლიუ ჰაოსთან”. საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 15 მარტი, 2024. ბმული
18. საქართველოს საელჩო. “ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის შეღავათიანი სავიზო რეჟიმი ამოქმედდა”. საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 11 სექტემბერი, 2023. ბმული
19. საქართველოს საელჩო. „ქ. ბათუმსა და კუნძულ ხაინანის ქ.სანიას შორის ხელი მოეწერა დოკუმენტს თანამშრომლობის შესახებ”. საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 25 დეკემბერი, 2021. ბმული
20. საქართველოს საელჩო. „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ინიციატივით

და ქ. ქუთაისისა და ქ. სიანის მუნიციპალიტეტების ჩართულობით, მსოფლიოს ორი უძველესი ცივილიზაციის, ისტორიისა და მდიდარი ტრადიციების მქონე ქალაქებს შორის, ხელი მოეწერა დოკუმენტს თანამშრომლობის შესახებ". საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 6 მაისი, 2022. ბმული

21. საქართველოს საელჩო. „ელჩი, არჩილ კალანდია სამუშაო მივლინებით იმყოფებოდა კუეიჭოუს პროვინციის ქალაქ კუეიანგში". საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 18 სექტემბერი, 2023. ბმული
22. საქართველოს საელჩო. „იმერეთის რეგიონსა და კუეიჭოუს პროვინციას შორის თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა". საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 10 სექტემბერი, 2024. ბმული
23. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. 22 აგვისტო, 2024. ბმული
24. ფონდი ქართული გალობა. „ჩვენი ისტორია". Chanting. ბმული
25. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში. "განმარტება „ჩინეთის სახალხო რესპუ-ბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ორდინალური პასპორტების მფლობელთა სავიზო მოთხოვნებისგან ორმხრივად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებასთან" დაკავშირებით". Embassy of the People's Republic of China in Georgia. 27 მაისი, 2024. ბმული
26. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო. „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, ჭოუ ციენი დაესწრო ქალაქ ქუთაისში "ორმაისობის" აღსანიშნავ ღონისძიებას. მან, ასევე, მოინახულა ადგილობრივი ჩინური საწარმო". Embassy of the People's Republic of China in Georgia. 8 მაისი, 2023. ბმული
27. Brand Finance. „Soft Power: Why it Matters to Governments, People, and Brands". Brand Finance. 25 თებერვალი, 2020. ბმული
28. Brand Finance. „Brand Finance's Global Soft Power Index 2024: USA and UK ranked top nation brands, China takes third place, overtaking Japan and Germany". Brand Finance. 29 თებერვალი, 2024. ბმული
29. Georgia-China Friendship Association. „About Us". GCFA. ბმული
30. Ifeng News. IFENG Market Screener. „Jian Jun Zang". MarketScreener. ბმული
31. Ministry of Foreign Affairs. "The Central Conference on Work Relating to Foreign Affairs was Held in Bei-jing". Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China. 29 ნოემბერი, 2014. ბმული
32. Mia, Catherine. "The Belt and Road Initiative is our future: Georgian journalist". GD Today. 3 ივნისი, 2024. ბმული
33. News. 17 ნოემბერი, 2021. ბმული
34. National Congress of the Communist Party of China. "Hold High the Great Banner of Socialism with Chinese Characteristics and Strive for New Victories in Building a Moderately Prosperous Society in All". China Internet Information Center. 28 სექტემბერი, 2009. ბმული
35. Organizing Committee. "Zhang Xu, Vice Minister of Culture and Tourism, Met Archil Kalandia, Georgia Ambassador to China". Cultural Exchange Organization of Presenting China to the World, 18 აგვისტო, 2021. ბმული
36. Prof-news. "საქართველო-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავი აღინიშნა". Prof-News. 9 ივნისი, 2017. ბმული
37. Pulsi Tv. "მესამედი საუკუნე - საქართველო - ჩინეთი". Youtube video, 38:58. იანვარი, 2025. ბმული
38. Standish, Reid; Pertaia, Luka. „The Controversial Company That Opened The Door For China's Growing Influence in Georgia". Radio Free Europe. 7 სექტემბერი, 2023. ბმული
39. The Embassy of Georgia in the People's Republic of China. Facebook. 16 აგვისტო, 2021. ბმული
40. Xinhua. China Government Network. 3 ნოემბერი, 2020. ბმული